საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1213 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი), ქ. ბათუმსა და ქ. ახალციხეში დეპარტამენტისთვის სარგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ქ. ბათუმი - 05.27.16.028 და ქ. ახალციხე - 62.09.53.888), დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების განთავსების მიზნით, ახალი ადმინისტრაციული შენობების

სამშენებლო სამუშაოების (ქ. ბათუმში - ახალი 3-სართულიანი ადმინისტრაციული შენობის (საერთო ფართით - 1198,8 კვ.მ) მშენებლობა და მიმდებარე ეზოს (2966 კვ.მ) კეთილმოწყობა, ასევე ქ. ახალციხეში - ახალი 2-სართულიანი ადმინისტრაციული შენობის (საერთო ფართი დამხმარე ნაგებობების გათვალისწინებით - 418,10 კვ.მ) მშენებლობა და მიმდებარე ეზოს (1736,58 კვ.მ) კეთილმოწყობა) შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან („გარემოსდაცვითი ზედამხედველობა“ (პროგრამული კოდი: 38 02)).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**